სსიპ საქართველოს ოლიმპიური რეზერვების მზადების ეროვნული ცენტრის 2023 წლის ანგარიში ინფორმაციის თავისუფლების შესახებ ,, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ,, დებულების შესრულების თაობაზე

(საანგარიშო პერიოდი მოიცავს 2022 წლის 10 დეკემბრიდან 2023 წლის 10 დეკემბრამდე ინფორმაციას )

,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის,, 49-ე მუხლის შესაბამისად, წარმოგიდგენთ ანგარიშს სსიპ საქართველოს ოლიმპიური რეზერვების მზადების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში ,,ცენტრი'') 2023 წლის საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით შემოსულ განცხადებათა რაოდენობის, საჯარო მონაცემთა ბაზებისა და პერსონალურ მონაცემთა შეგროვების, დამუშავებისა და შენახვის თაობაზე.

- 2023 წლის საანგარიშო პერიოდში სსიპ საქართველოს ოლიმპიური რეზერვების მზადების ეროვნული ცენტრში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით სულ რეგისტრირებულია 2 განცხადება, მათ შორის ერთი განცხადება იურიდიულ პირს ეკუთვნის, ხოლო მეორე პარლამენტის წევრის მიერ არის მოთხოვნილი.
- საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ 2 განცხადებიდან დაკმაყოფილდა - 2.
- საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის თაობაზე არცერთი მოთხოვნა არ დაფიქსირებულა. საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმისა და გასაჩივრების ფაქტს ადგილი არ ჰქონია.
- საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, ცენტრში ყოველკვარტალურად მუშავდება ინფორმაცია (მათ შორის პერსონალური მონაცემები) ცენტრში დასაქმებულ პირთა შესახებ. პერსონალურ მონაცემთა სხვისთვის გადაცემის ფაქტი არ დაფიქსირებულა.
- ცენტრის პერსონალთა მიერ ,, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის'' , საქართველოს კანონის მოთხოვნების დარღვევის და შესაბამისად პასუხისმგებელი პირისათვის დისციპლინური სახდელის დადებას ადგილი არ ჰქონია.
- ,,საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ ,, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აგვისტოს N219 დადგენილების დანართის მე-2 ნაწილის 2.4 პუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად, ცენტრის 2023 წლის 10 დეკემბრის ანგარიში პროაქტიულად გამოქვეყნდება სსიპ საქართველოს ოლიმპიური რეზერვების მზადების ეროვნული ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე www.olympiccentre.ge საჯარო ინფორმაციის გვერდზე ქვეგანყოფილებაში ,,ზოგადი ინფორმაცია,,.

ცენტრის საჯარო ინფორმაციის გაცემასა და პროაქტიულად გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირი არის ცენტრის საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი გვანცა ტომარაძე